

1914



F 65

№ 33

9 გიორგიშვილისთვე 1914 წ.

თბილისი
მისამართი
მისამართი

წლიური ფასი

≡ 5 ას. ≡

აოცხლ კვირაული საზოგადო-ეკონო.

ცალკე ნომერი 10 ააპ.

მიური და სალიტერატურო უნივერსი


რედაქცია ლია 9—3 სათამდე.

ჭალიჯაძი გესახე

მისამართი: თბილისი, გაბაევსკის პრ. № 3 რედაქცია „კლდე“. დებულისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ 3 0:

1. მეთაური.
2. კუთხიმიური გაურთიანება.
3. მასალები სამეცნიერო გრებისათვის.—
მკვიდრისა.
4. კუხო ქვეშ ს ბრძოლის ვეზზე!.. (ლექსი).—ღურუ მეგრელისა.
5. უნებური მსხვერპლი.—ინისა.
6. ქართულ თეატრის გარშემო.—რ. ფაფლენიშვილისა.
7. ქ. შ. წ.-გ. გ. ს.—რ. გ-ესი.
8. ფალ. ბრიუსლეის აზრი გერმანელებზე.
9. ეგვიპტეს ძეგლმარება.—ღოვენისა.
10. წიგნების სია.



ინგლისური არტილერია მისამართის პოზიციებზედ.

ა. ბილისი 9 გიორგობისთვეს
1914 წ.

უკანასკნელ დროს, როგორც მოსალოდნელი იყო, სატახტო ქალაქების პრესაშ ქართველებზედაც ამოიღო ბმა, რაკი საომარი ასპარეზი ჩვენ მხარესაც დაუახლოედა, მაგრამ რომ სულ არაფერსა სწერდნენ, როგორც აქამდის, ბევრად უკეთესი იქნებოდა, რაღაც გულს არ მოგვიკლავდა შეინც იმ საბავშვო ჩხრიალებით, რომლებითაც გვიმასპინძლდებიან. მთელი ქვეყანა ინგრევა, მისი პოლიტიკურ-სოციალური სტრუქტურა „ცვლება, თავისუფლების ცოცხალი გარინტია ინგლისი ხაყოველთაოდ აცხადებს, რომ პატარა ერთა და ხელშეკრულებითა დასაცავად გამოდის, საფრანგეთი იბრძვის უმაღლეს იდეიულით—სიმუშობლის დაცვით გატაცებული, რუსეთის მხედრობის უმაღლესი მთავარ-სარდალი ივტონომიას ანიჭებს პოლონეთს და ავსტრიის მოსახლე ერებს ჰპირდება განთავისუფლებას. მარტე უდლისაგან, თვით გერმანია და ოსმალეთიც კი ხმა მაღლა ყვირიან: ჩვენ განმათავისუფლებელი შესითა ვართ აღჭურვილო... და ამ დროს სატახტო ქალაქების პრესა ქართველობისათვის გულის მოსაფრხანად ბეჭდავს კარგ ამბებს, რომ კავკასიელთა გულიად რაზმებში საუცხოვოდ იბრძვიან ქართველებით, რომ სიმღერითა ხვდებიან მტერსა და მის ტყვიებსათ და საქართველოც ლამაზი ქვეყანა არის. მაღლობას უხდიან და ტაშის ცემით აცილებენ ჩვენს სტუდენტობას, თავისუფალ მოხალისეებად ჩაწერილებს და ულოცავენ „დრუუინების“ შედგენას, ე. ს. იდილიური იქვთ წარმოდგენილი ჩვენი თავ-განწირვა

ჩვენ კარგად ვიცით და კვლავაც გვეცოდინება რასაკვირველია; რომ „მოკლილ მეგაზეთეთა“ აზრის არავითარი რეალური შენიშვნელობა არა აქვს და მათი აზრი ინ სურვილიც უბრალო ენის ქავილი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ გვიკვირს, რომ პროგრესიული, ლიბერალური პრესა ისე თამამიდ, გულისდით ეჯოლიავება შეგ. სომხებს, მათი ბაშბის ჩხრიალიც ესმის და ჩვენი კაკლისაც არა. ესმის მხოლოდ და იწონებს ჩვენი იარაღის ჩხრიალსა, რომელსაც თან აუარებელი სისხლი სდის, რასაც ყოველდღიური სიები ვერმტკიცებენ დაჭრილთა და მოკლულთა.

მაგრამ რას რვიზამთ, რა ძალა გვაქვს ვებრძოლოთ მოწინავე პრესას, მაგრამ სახელმწიფოს უმაღლესი გამგენი, რომელნიც სისტემატიურიად, ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებიან საერთო იდეას, მაგრამ მხოლოდ კავკასიური საერთო პირობებით შეადგენენ მკიდრო კავშირს მძლავრი მტრის დამამხობელსათვის დროზედ უეჭველია თვითონ გამოსხდებიან იმ ფორმას, რომლითაც გათანასწორებულნი იქნებიან რუსეთში ყველა მისი ქვეშვერდომნი და იმა მხოლოდ ზოგიერთნი.

ეკონომიკური გაერთიანება

მეტად ძლიერი და თვალსაჩინოა დლევანდელი ომის ზეგავლენა ყოველ ხალხზედ, როგორც პოლიტიკურ თრგანიზმზედ, მეტად ცხოველად განიცდის ყოველი იდამიანი ამ ომის დიდს პოლიტიკურ შენიშვნელობას, რომ დალაგებით, წინამდებურის სიმშვიდით და სიწყნარით შეეძლოს ფიქრი ყოველდღიურ გასაჭირზედ, რომელიც თანდაგან უარესდება, მაგრამ ცხადია, რომ ერთს ძალონე არ უნდა შეიღოთ უშინაარსო ლელვამ და გაფაციურებულმა ცნობის-მოყვარეობამ; ხალხი, ერთს მასსა უადამშვიდით და დარბაისლურად ეწეოდეს თავის უდელს, რომ ომისაგან გამოწვეულ ზარალს, ეკონომიკური კრიზისის ზარალით არ გაუღრმავოს ფესვები. საუკეთესო მუშა ხელი დღეს ბრძოლის ველზეა და შინ დარჩენილთ ერთი-ორად პმართებთ მუყაითობა და გამრჯელობა, რომ პირნალიად შეხვდნენ უკეთეს მომივაუს. ამ შეჩივ, ხალხს თავისი აღღო იქვს და სურვილიც ცხოვრების მოწყობისა, მაგრამ უმოსავლობამ ზოგან, მოხავლის გაყიდვის აკრძალვას მეორეგან და საერთო სამეცნეო პირობათა ირევამ სუკუველები, ერთნაირი კრიზისი გამოიწვია, რასაც შეუჩვეველი და მოუწყობელი გლებეკობა თითქმის გულ-ხელ დაკრებილი უნდა შეხვდეს, რაღაც არ იცნობს იმ საერთო პირობათ და სამუალებათ, რომელნიც უნდა დაიშველონ მოულოდნელ კირთა ისაკდენად. ამისთვის კი მეტად საჭიროა პროექტის და ქალაქის ინტელიგენციამ ნამეტანი ენერგია გამოიჩინოს, გამოარკვიოს, შეიმუშაოს საერთო მოსაზრებანი და

სამოქმედო გეგმა, რომ შეასუსტოს ბედისაგან დაკრულ გრძელლის შედეგები ხმები ისმის რომ გურია-სამეცნიეროში ორიოდე თვის შემდეგ შიმშილობაა მოსალოდნელი, კახეთის მდგომარეობა უკიდურესობამდევ მისული ღვინის აკრძალვით, ქართლი ყოველთვის იყო დაქვეითებული ეკონომიკურად და ეხლა უფრო დააჭვეითა მმმა და სხ. და სხ.

გაზეთებმა კეთილი ცნობა მოგვიტანეს, რომ გორის მაზრის საკრედიტო დაწესებულებანი იწვევენ ხაშურში საზოგადო კრებას დღევანდელ კარზე მომდგარ კირ-ვარამთან საერთოდ ბრძოლისათვის და ეს წასაბაძი მაგალითი უნდა გამეტავნდეს ყველგან; ყველა კოოპერატიული და ორაკომპერატიული იმხანიგობანი, სამეცნიერო საზოგადოებანი და კერძო მცოდნენი უნდა იკრიბებოდნენ, სჯიდნენ საზოგადო მდგომარეობაზედ და იკვლევდნენ საერთო საშუალებათ. ასეთი საშუალებანი ბევრია და საკმაო ენერგიით და უნარით, დიდი საქმეც გაკეთდება დღესაც და საშვილიშვილოდაც.

სახელმწიფოსაგან დარიგებული ფული ჯარში გაწვეულთა ოჯახებისათვის სრულიად საკმარისი არ არის სამეცნიერო დანაკლისის აღსადგენად. აქ საზოგადო პირობებია შესამუშავებელი, რასაც აწონილ დაწონილი მოსაზრება სჭირია. დარიგებული ფული, თუნდაც რომ დიდი იყოს, უნაყოფოდ დაიკარგება, თუ სწორი გზა არ გამოინახა. საქმე ფულში კი არ არის, არამედ სამეცნიერო დახმარებაში, რომ პური და სხვა უსაჭიროები სანოვაგე და ნივთი არ გაძურდეს, რომ შოვნა იყოს მათი და სამეცნიერო თესლეულობისა, მუშა ხელისა, საქონლისა და საჭირო იარაღისა. საჭიროა ვენახის და სხვაგვარ ბალეულობის წამლები, თესლები, ნეტგები და სხ. და სხ. ყველა ამის მოგვარება ცალკე მეცნიერების არამც თუ ძნელი, პირდაპირ შეუძლებელი ხდება დღევანდელ პირობებშ-. ამიტომ კოოპერატივები საკრედიტო, სამეცნიერო თუ მომზარებელი, ყოფილნი უკვე თუ იხლად აღორძინებულნი უნდა შეერთდნენ, გამონახონ საერთო პირობები და საშუალებანი. რამდენიმე ძირითადი საშუალება უკვე არის და მხოლოდ სათანადო უნარ. სა და ძალის თხოვულობს გინსახორციელებლად და ცხოვრებაში გადასატანად. პირველია, მაგალ. მაღაზიის ფული, რომელიც შეიძგენს სოფლის საკუთრებას და სათანადო ფორმალური მხარის შესრულების შემდეგ, ადვილად შეიძლება მოხმარდეს სოფლისაგან საერთოდ შეძენას საჭმელ და სათესლე პურისას, წამლისას თუ იარაღისას. მხოლოდ ხელის

განძრევაა საჭირო. მეორე საღსატია სახელმწიფო ბანკი, რომელიც უეჭველია ამ გაჭირებულ მდგომარეობაში, თუ თავდებად დაუდგებიან/ ყველა კო-ოპერატივები, საგრძნობლიად გადიდებს /გაცემულ კრედიტს საერთო მოთხოვნილებაზე, დასაკუმაყოფილებლად. მესამე არის— მუდმივი კორუფციაში შექმნა, რომელიც დაიკვეთავდეს რუსეთის და საზღვარ-გარეთელ სამეცნიერო მასალებს, წამილის და სხ.

კიდევ ბევრისაგან ბევრი საშუალება შეიძლება გამოინახოს, როგორც მაგალითად გამსაღებელი, მომხმარებელი ან წარმოების კოოპერაციები, ერთის ძალით შექმნილნი ყოველგვარ მოთხოვნილებათა დასაქმიყოფილებლად და სხ. ყოველ კუთხეში შეიძლება ინიციატივა იყისრონ საკრედიტო კოოპერატივების მოთავეთ და საერთო ყრილობა მოაწყოს თუნდ ქ. სამეცნიერო საზოგადოებამ, რომელმაც წინდაწინვე უნდა შეიმუშაოს პროგრამა, ადგილობრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. ყველა ამის, გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა დღევანდელ კრიზისისაგან დახსნისა— დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ეჭნებოდა სამეცნისოდაც, როდესაც ლმის შემდეგ საჭირო გახდება საზოგადოთ ამოქრავება მთელი ეკონომიკური ძალისა, საუკეთესო მომავალის დასამყირებლად. ომმა ჩვენ გვისწრო ეკონომიკურად დაძაბუნებულებს და ომმავე უნდა გამოგვალვებოს ეკონომიკურ აღორძინებისათვის, რაღან არაფერსა აქვს ისეთი შემაგრებელი ძალა, როგორც საერთო გასაჭიროს და ერთობა ხომ ყოველ გამარჯვების საწინდარია. მაშ მხნედ შევეცადენ ასეთი საერთო ორგანიზაცია და მაშან ვერავითარი ვერც შინაური და ვერც გარეული მტერი ვერ დაგვჯიბნის და ჩვენს საშობლოში ჩვენი თავის ბატონ-პატრონნი ჩვენ ვიქებით ეკონომიკურ დარგში; და როდესაც ერთ ძლიერია ეკონომიკურად, მას ანგარიშს უწევენ ყოველ სხვა მხრიდანაც. შეერთება პირველი საზრუნოვი საგანია დღეს ჩვენთვის და ლვთის მიღლით, ამ შეერთების წინამორბედნი უკვე ჩნდებიან აქა-იქ—ეს არიან მრავლად გაფანტული კოოპერატივები, რომელთაც თანდათან უცხოველდებათ აზრი საერთო კავშირისა.

მასალები სამელიორაციო კრებისათვის

(დასასრული)



სამელიორაციო კრებისათვის

წინა წერილში მოთავსებული იყო ხახელმწიფო სათათბიროს წევრთა მიერ გადმოცემული კრები მიწათმოქმედ დეპარტამენტის და მიწათგაუმჯობესების 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვაზე, ასე მკითხველს მინდა გავაცნო კანონი-როექტი რომანოვების ფონდის თაობაზე, კერძოთ კი კანონ-პროექტის ის ნაწილი, რომელიც ამიერ-კავკასიის შეეხება.

მიწათმოქმედმა და მიწათ-მომწყობმა მთავარ გამგეობამ, რომანოვების დინასტიის 300 წლის მეტობის აღსანიშნავად, სახელმწიფო სათათბიროში კანონ-პროექტი შეიტანა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განვითარდეს სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი მიწათგაუმჯობესების საქმეები.

მიწების გაუმჯობესების განსახორციელებლად იმ კანონ-პროექტით უწყება სახელმწიფო ხაზინიდან 5 წლის (1915—1919 წ.) განმავლობაში სახსარს თხოვლობს, — სულ 150 მილიონ მანეთი ევროპას რუსეთისათვის და იმპერიის სხვა ნაწილებისათვის.

ამ კანონ-პროექტით დიდი საქმეები მოგველის კავკასიაში, როგორც ამიერში ისე იმიერში, საცავანზე აქვთ ზომები მილონ თერტის წყალდიდობის წინააღმდეგ, უნდა ისარგებლონ მიწების მოსარწყავად და ჰსურთ საერთოდ შეისწავლონ მდინარეების პიროვნეული ძალი.

ამას გარდა უახლოეს ხანისათვის განზრისული იქნა განსახორციელონ უკვე შედგენილი და დატურ დაცემული მილის ტრამალის 87 ათასის უდაბურ აღვილების მორწყვის პროექტი და ჯერ კიდევ არ დამთავრებული (მაგრამ რომელიც მაღალ დათავდება) მორწყვის პროექტი მულანის ტრამალის სამხრეთის ნაწილის, რომლის სივრცე შეიცავს 49.000 დესარტასა და რომლის მოსარწყავად სპარსეთის საზღვრებიდან მდინარე არეზის წყლის გამოყვანას აპირობენ.

კანონ პროექტში მოხსენებულია კიდევ შემდეგი: „უწყების აზრით სახელმწიფოთ მიწების შეძენა გამომდინარეობს თვით ზოგიერთ მელიორაციულ აშუალებათა ოვისებისაგან; მაგალითად ქვიშნარის ა

და ხრამების ჩქარა გამაგრება შექმნას; მხოლოდ იმ აღვილებზე, რომელიც ხაზინის განკარგულებაში და მფარველობის ქვეშ არის; 652000 დესეტინამდე ქვიშნარ და ხრამიან აღვილების შეძენა მთელ იმპერიაში და გადაცემა ხაზინის განკარგულებაში გათვალისწინებულია ქვიშნარ-ხრამიან აღვილების საქმეების აქ მოყვანილ გეგმით”.

აღნიშნულ განზრისულ განზრისულ განსახორციელება მომავალ ხუთ წელიწადში (1915—1919 წ.) საჭიროობს 150 მილიონ მანეთს შემდეგი ანგარიშით

I პიროვნების საქმეებზე: ა) ევროპის რუსეთში — ვა მილიონი მანეთი; ბ) კავკასიაში — 19 მილიონი მანეთი, რომლიდანაც გადადებულია წყალდიდობასთან ბრძოლის საშუალებათა გამოყენებაზე და მდინარე თერტისა, ყუმისა, მტკვრისა, ირკუტისა და სხვა მდინარეთა არხებში მდინარეთა პიროვნეულების ტრონულ ძალთა გამოკვლევაზე — 2 მილიონი მანეთი; წყალდიდობასთან ბრძოლისათვის და მიწების მორწყვისათვის მდინარე თერტიზე პირველი ჯერის საქმეთა დაწყებაზე — 2 ნახევარ მილიონი მანეთი; აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში მილის ტრამალის 87 ათას დესარტის მორწყვაზე თანახმის შედგენილ სატებნიკო და საპიდრო-ელექტრონო კომიტეტის მიერ დადასტურებულ გეგმისა — 10 ნახ. მილიონი მანეთი; სპარსეთის მოსაზღვრე მულანის ტრამალის სამხრეთ ნაწილის 40 ათასი დესეტინის მორწყვაზედ, შედგენილ პროექტის თანახმად — 4 მილიონი მანეთი; გ) თურქისტანში — 39 მილ. მან.; დ) ევროპის რუსეთის ტრამალიან ნაწილზე — 4 მილიონი მან.; ე) კიმბირში — 8, ნ მილიონ მანეთი.

II ქვიშნარ-ხრამიან აღვილების გამაგრებაზე — მარტო ევროპის რუსეთში 15 მილ. მან.

III საზოგადო საორგანიზაციო საქმეებზე — 29,4 მილ. მან., რომლიდანაც 2 მილიონი გადადებულია იმ ნ საპიდრო-ტებნიკო საშუალო სასწავლებლის გახსნა-მოწყობაზე, რომელიც გაიხსნება ტებნიკების მოსიმზადებლიდან მინსკში, ტინგუტში, თბილისში

კვეთში და ქურჭისტანში (თითო სასწავლებელზე ჩივი, როგორც იმის გვიჩვენებს სასოფლო-სანერ ნერ საშუალო სასწავლებლის მოწყობა, 400 ათასი მანეთი.)

კანონ-პროექტის განხილვის პირობენ სახელმწიფო სათათბიროს კომისიებში. შემოდგომაზე, 1914 წ., როცა სათათბიროს სესიების მუშაობა დაიწყება.

როგორც მკითხველი ხედავს, რომანოვების მოელი ფონდი (150 მან.) უკვე განმშილებულია მიწად-ცომქმედ—მთავარ გამგეობასაგან ვაკასიის-თვის და ამრერ-კავკასიისთვის გადადებული 19 მილიონ მან., რომელთაც უკვე ზეგავლით განსაზღვრული დანიშნულება, იქვე.

მკვიდრი.



გერმანელთა ჯარი. იმპერიატორი ვილჰელმი და მთავარ შტაბის უფროსი ფონ მოლტკე საპოზიციო თხრილებით.

უცხო ქვეყნის ბრძოლის გელზედ!

(კუდეგნი ეხლანდედ აშშ დასაცილ ქართველ მეთმართა ხსრენის).

უცხო ქვეყნის ბრძოლის ველზედ, უცხო მკვდრებში დარჩენილი, გრამის საპალო, რომ თვითონაც კვდება, დაჭრილ-დაფლეთილი; კვდება, როგორც ტყის ნადირი, უპატრონოდ მიგდებული, ზრუნვა-მოვლის და შმობლიურ ტკბილ ალერსა მოკლებული; არც კი იცის, თუ სად არის, ან ვრნ არის მისი მკვლელი, -- გერმანელი, ავსტრიელი, უნგრელი თუ ოსმალელი? იცის მხოლოდ, რომ უეცრად. „ომია“-ო, ხმა გავარდა და ქვეყანაც, თრ ბანაკად გაყოფილი, იმღელვარდა!

ასტყუდა ბრძოლა; ათას ადგილს საშინელი სისხლის ღვრაა;
 ჯარი-ჯარზე სწყდება... სწყდება, — დასასრული აღარაა!
 ერი-ერსა მისევით, მუსრს ავლებენ ერთშანეთსა,
 თითქმ კაცთა ნათესავის მთლად მოსპობა კვლავ სურს ღმერთსა,
 რომ დასაჯოს ის, კოდვილი, კვლავ საერთო სიკვდილითა, —
 არა ჭარლვნით, თვით იმისვე სათაყვანო მახვილითა!..
 მისაც მისცეს თოფი ხელში; მოაშორეს მშობელ მხარეს,—
 არ მიხედეს მის წვრილ კოლ-შვილს, არც ცრემლს მოხუც დედის კბარეს,—
 ამ სიშორეს გადმოკრებს და უბრძანეს: „იბრძოლეთ, —
 მეფისა და მამულისთვის ნუ გშურს შენი სიცოცხლეო..“
 და მანაც არ დაიშურა ქართველურად ივაუკაცა, —
 მხნედ შეხვდა მტერს... მალე დასჭრეს... და, ჲა, კვდება აქ, სადღაცა;
 აქ, სადღაცა, უცხო ცის ქვეშ, უცხო ქვეყნის ბრძოლის ველზედ
 და ნაცვლად თვისთ აღერსისა გრძნობს უცხო მკვდარს თავის ხელზედ!
 აქ, სადღაცა, კვდება ისე, მაგრამ რის და ვის გულისთვის?..
 — როგორ თუ ვის? აკი უთხრეს — მეფისა და მამულისთვის!..
 — მამულისთვის?.. მაშ, მის მამულს მის მშვენიერს საქართველოს,
 ამ საშინელ წამებითა შეიძლება რამ უშველოს?..
 ოჲ, ოლონდაც კვლავ მარნც მის დრო დაუდგეს სანატრელი;
 ოლონდ გახდეს ბედნიერი მისი ერი, სიყვარელი,
 და სიამედ შეიცვლება ეს სიკვდილი, საზარელი,
 თუნდ რომ კიდეც გაასკეცდეს მის წილ-ხვედრი სატანჯველი!
 მაგრამ ვაი, თუ სამშობლოს ამ სიკვდილით მან ვერ იჩვის, —
 მისი სისხლი, აქ დაღვრილი მისთვის უქმად დაიკარგოს?..
 არა, არა! სწამს და სჯერა, ეს ომი რომ გათავდება
 და მშვიდობი და სამართლე ქვეყანაზე დამყარდება,
 თავისუფალ ფრთა შორის თავისუფლად აყვავება,
 თუმც რიცხვ მცირეს, სულით ძლიერ ქართველ ერაც წილად ხელები,
 თვით გონებით ქრისტიან ერთ მოწინავე რაზმად ქმნილი, —
 არა ერთხელ მოწიმებრივ გვირგვინითა შემკობილი,
 ათას წლობით გმირულ ბრძოლით რომ ქვეყანას აკვირვებდა
 და ყოველ მხრივ მოზღვავებულ მტარვალთ მედგრად იგერებდა;
 და, თუმც ბოლოს მოძმე დიდ ერს მიეკედლო დაჭანცული,
 დაიცვა რაც წმინდა ჰქონდა — ენა, რჯული და მამული
 სწამს, — ამ რწმენით გამსჭვალული, შვებით უმშერს მომავალსა
 და საამო ნეტარებით საუკუნოდ ხუჭვს თვალისა,
 უცხო ქვეყნის ბრძოლის ველზედ, უცხო მკვდრებში გარეული,
 მშობელ მიწას და მშობლიურ ცრემლის ცვარსა მოკლებული.

დურუ მეგრელი.

გიორგი თბილი 1914 წ.



უნიბრი მსხვერპლი

I

მანდორი მწანედ დაღინებდა. წენარი ნიაგი უფა-
ვილთა სულიერებას ჰყანილა გარშემო და შევიდა
აღულებდა. აწლოვან მუხის ქვეშ სოფლის ჭდების მო.
კუართ თავი და დხინობდნენ. ამაღლებს უმიმდებებებს,
არითანა შემოდია.

— აა. გოგებო, ვინ უფრო კარტ თავული შეჭ-
კავს! — წამთიძესა ერთმა.

კვედანი წამთიძესან და ურანკელთა გენდივათ
მინდორის შეკედვენ.

ნებ-ნელა იზრდებოდა, თავულებული. ერთი უფავილი
მედოვეს უჩამდებოდა და ფერუბას თავისებური წარმონა
იქმნებოდა.

შეულებით დანაკარდობდა ცისა ამხანაგ ქალების ჭო-
რის. წამლისუერ კულებებს ჰყარშა, აურიალებდა, ელვის
სიწრაფით ხან ერთ უფალთან ჩხდებოდა სხი მეორეს-
თან და გურაციცებით სწერატ მდა. ცხერისუერ თუალე-
ბიდან სხივები სცვიდა, ხმამაღლა კასკასებდა და ზარი-
ვით წერიალა ხმა სივრცეში იბნებდა. თრ მარჯანს
მორის შარგალიტები უკრთდა, სულ ნორჩიიულ.

— რა გოგო და! — გაისმა ხმა.

ცისა უფალები ხელიდან გაუცვივდა, შეგროა: სი-
ცოცხლით საგე ვაუკაცი უმზერდა. თვალები უბრუინავ-
დნენ, შავი აბზინებული ქორითი შებლზე გადმოჭიერ-
და. ხელში გადლის შტო კვარდა.

— გმბრა სადარაშვილი, გმბრა! — წაპტერეს ერთ-
მანებოს ხელი გოგოებდა. — შარშან რომ სალდათობიდან
დაბრუნდა.

ცისამ თვალები ძირს დაუწეა და ხმირი წამწამები
დოკებზე გადმოეფია. უკავილთა შორის უფალებად მო-
ჩანდნედა.

— ჯა, მანდორის უგალიო, ესენ შენ თავულში
გაური. — შესძახა დარცხენილ ქალს გმბუნამ და გა-
დლის შტო გადასკვრდა.

„მანდორის უგალიო“ არ შეიძრა, კაელის შტოს
სული არ ახლდა. გმბრა, ცოტა ხსნს გადევ უმზერდა
ცისა და მერე თავის გუსტის გაუდგა. ცისამ უხებლივდ
თვალი გაადგენა.

სახლგაზრდა არწივიგით გამჭურებდა მიდაშოს, გავ-
ხვივით მიაბიჯებდა უქესს. შალე თვალი მოვტარა.

ცისა კი მოჭადოებულივით იდგა.
— არ გმბურება? — დაუკარია მსხანაგმა ქალმა ცი-
სას. — მიგდივართ, წამთდო.

ცისამ აკრიფა მობიული უფავილები, აიღთ კავლის
შტოც. ხელის კანკალით ჩაერთა თავისულება და ხელის
სიბაჭით აუდევნა თავის ტოლების.

II გრიგორი მარტინი

ცისას გონიერიდან გერ მთეშორებისა გუგუსა. ოვალუ-
წის სულ მაგად ამზინებული ქოჩორი ესაცებოდა. ამბ-
რიდ ხელავდა მოდიმარ სახეს, გაბრწევისებულ თვალების,
ოდნავ გეხიან ლხვირს, კოპწია ულუშების. გუდი ეკუ-
მბრიდა, სული ენაბებოდა. რაღაც არაჩეცებულივთბას
გრძელოდა. სხივთხსხი თვალები სევდით მომცვა.

— დედაკაცო, ე გოგო რაღასც დაგვლონებია!
რაცომ არ იკითხავ, რა ამბავია მაგის თავს? — უხსრა
გიგილა ხანიაშვილმა თავის ცოლისა.

— რავა, ადამიანო რაღაც დაემართა. — უბასუნა
თანამ თავის ქმარს. — ვეუბნება, დედა ვარ, უცხო ხოშ
არა ვარ, მითხარი, რა მოგიყიდა — მეთქი, მაგრამ პირ-
კვარი გერ დაგაწერინე. სულ იმას მეუბნება, არავი
როთ.

მაშ მე გამოვათხიზევი. ახალგაზრდა გადგო, გა-
ხოვების დრომ მოუწია. — სოქვა გაცილაშ. — ისეთ ბიჭი
მაგრე ხემო ცისავ, რომ უკედა შენ მემოგნატრიდეს.

ცისას თვალები აენონენ, შებდი შეიკრა. გადას-
წევარი უარი ეთქვა, თუ სასურველს არ დაუსახელებდნენ.
მე გმბუნას შეტი არავინ მიხდათ, სოქვა თავის გველში
ქალმა.

— იცი, დედაკაც! — მიუბრუნდა გიგილა ცოლ-
სა. — სადარაშვილი გუგუსა თხოველობს შესს ქადსა.

სისარულისაგან ცისას სუნთქვა შეეპრა, სახე წამო-
უწითდედა, თვეო დაღურია და გუდულები წინ წამუცველებდა.

— ჯა, გოგო, რას იტევი? — ჭკითხა შამამ. — სა-
ით მიგაწეს ე თავის მითხარ. შეტრე-პავლობას ნიშანს
მოიცანენ.

III

ცისა დანიშნას. გუგუნამ „მანდორის უგალის“ და-
ქრის და თავის ბაღში გადარგვას უპირობდა.

დანიშნელები მთეთმენლად კლოდნენ ფოთლის გა-
ევითდებას, მაგრამ დანე მუხანათ ბედსა. ხმა გაგარდა,
რესია სულმწიფებრივ ლემენტი აუმარა, და სათადარიგო-
ების დაუწევეს თავის მთერა. ცისას სახე დრუბელმა მო-
ციგა და საწყიმრად გაემზადა.

გმბრა ქარში გაიწეის. „მანდორის უგალის“
ქანთბა იწეო: შზის სიობო მოაცდდა და სიცივე შეეპარ-
ტანდო.

VI

შემოდგომას ფართოდ გაეშალა თავის გადთები. ფოსტლი გაუვითლებელი უდიეთ. ცაზე დოკუმენტის ნაშრები გუნდ-გუნდად დასრიალებინა. შზეს თავი გამოექა და ალმაცერად გცემოდა დედამიწას. ქარი ხან ერთ ხეს უხდებოდა ხან მეორეს და დამგელებულ ქვრქს უწიწინა და.

ცისა ბაღში გამოსულიყო და მოდიო მოსალ ბეჭობს მიჰყედებოდა. ხეები სიბრალეებით გცემოდნენ ქადსა.

შზე შზეთას ვედარ ეწეოდა. „მინდვრის უგაილი“ სულს ძლიერდა დაფავდა. სიცოვეს მისოვის გული და თვეთქა.

ქალმა ძარს დაისხედა. პატარა ცისვერ უგაილს იძლად ამთეულ თავი დედამიწიდან და ძირს შემოსცინდა. ცისას წარსულმა გაურბინა თავში. მთაგონდა ამად-ლება დღე, უგავილების კონა, კავლის შტო და თვალებიან დაბა-ღუშით ცრემლები გადმოსციავდა.

ცისას თვალი უცნაურობაშ შეიძერთ: ცისვერი უგა-ილი ჭურ გაფითრდა და შერე ნებ-ნება სისხლის ფერი მიეცა. უგაილმა ზრდა იწეო. უკრცელებიდან სისხლის წვერები წამოსცივდა, გული შეაზე გადაეხსნა და ცისამ ამერად დაინახა რომ იქიდან გუგუნა ამოვიდა. ნისლს მიაგადა და ჭარბში დაფრინავდა.


— გმირნა, ჩემთ არწივო! — წამოიყვირა ქალმა.

გშებუნამ ხმა არ გასცა, მიტრიალდა და იქმა ახ-ლის მდგრამ ნაშაუ მიწის ბორცვზე ხელი მიუთათა. ცისამ ბორცვი მხოლოდ ეხლა შენიშვნა, წინა დაუნახავს. ბშებუნა მივიღა ბორცვითან გადებსნა გუგულშა მგეღრე-ბის ხროვა გამოაჩინა. ცისა გრაცერიული უმქეროდა. მგეღრების ზოგს ხელები ჭრილი დაწევილია, ზოგი მარდი გამოგდებილი, ზოგს თავი გაჭირებილი. გვ-ცისამ გადასწ-გადმოსწია მკუდრების ხროვა და ზემოთ ერთი გვამი ამოათრია. გვამს ადაშიანის უკრი დაჭურ-გოდა, თვალები ჩასცვინათდა, ცხვირი გასწევტიანებოდა, მავი ქოჩორი ადარ უბზინავდა. ტავით კული ჭრინდა განგმირებილი.


— მე სული გარ ამისი. — უთხრა ლანდმა ცისას — საქალა აღარ ვეპუთვნი. უწევალო ტევიამ მიწიური სხეუ-ლის გული შემინგრია და საიქას გადასისხლა. ჩემთ ცისავ, ჩემთ „მინდვრის უგაილო“, გინდა შენი წაგი-განთ? უშეხოთ იქ ცხოველია მექნედება.

ცისა წამოდგა ზეზე. კაიწია გმირნასაკენ, მაგრამ წატორტმანდა და პირქვე დაუცა. პირიდან სისხლი წამოს-ქდა და ცისვერი უკაილი წითლად შედება. წერთ სი-ველს გამოესალმა. შზე ცოდვით დაიწეა და ლოგბლებს ამაუთარა. ცას მწესარებით სახე მოეღუძა, ქალმა ძლიე-რათ ამთითხორა, ხეს ჭრები შემთაცხორის და ცისამ გვამს გაუვითლებული ფოთოლად მიაურა.

ინი.



ბეტონის ერთ-ერთი სიმაგრე ლიესმი, რომელიც გვ-მინის ცძიმე არტილერიის დაანგრია



გერმანელთა მძიმე არტილერიის ნიმუში.

ქართული თეატრის გარშემო

ქართველები, რომ გატაცებული ხალხი ვართ და პირველ ხანში უბედურებასაც და ბედნიერებასაც დიდი აღზრულობით ვეგებებით. ეს არავისა-თვის დაფარული ირ არის და დაგვეთანხმება ყველა ვისაც ფხიზელის თვალით უდევნებია თვალ-ყური ჩვენის ცხოვრებისათვის, მხოლოდ ჩვენდა დიდათ საუბედუროდ მაღა, ძრიელ მაღა გაგვიგრილდება გული და ყოველივე ჩვენი საქმე უდროვოდ მინელ-დება ხოლმე!.. ბევრის გაგალითების ჩამოთვლით თავს არ მოგაწყენოდა მოგაბეჭრებ მკითხველებს, საკმარისია მოვიგონოთ დიდებული ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავი და მისი დასაფლავება. საეროვნო თანხაც კი გვინდოდა შეგვექმნა, მაგრამ გადაყვლეთ თვალი ბევრი შვავროვეთი! რიგიანი ძეგლიც კი ვერ დავადგით! რაშდენი ამისთანა მაგალითები შემიძლიან ჩამოვთვალო, მაგრამ რა საკიროა!..

ი, დღესაც ჰვილებს, ვალალებს და სტირის ყოველი ქართველი იმ უბედურების გამო, რომე-ლიც დაგვატყდა მოულოდნელად თავს. ულმობელ

მა ცეცხლის სტიქიონშა ხელიდამ გამოგვაცალა ერთად ერთი ეროვნული ტაძარი, ჩვენი დიდება, სიამაყე ქართული თეატრი.

სატირო-საგოდებელიც არის ჩვენისთანა ბედ-კრული და ლარიბ-დატაკი ხალხისათვის დანაკლისი, მაგრამ უარიელი ტირილი; გოდება, ვიში და ვუში დაგვიბრუნებს დანაკლისს?! არასოდეს! მაშასადამე საჭიროა ნივთიერი დახმარება დაუყონებლივ და ჩემის აზრით ვისაც თავისი თავი ქართველიად მიაჩნია და ქართველი უწოდებს თავის თავსა, დიდი თუ პატარა, ქალაქელი თუ სოფლელი, ქალი თუ კაცი, თავადი თუ გლეხი, მოხელე თუ მეურნე, მღვდელი თუ ერის კაცი მოვალეა გაიღოს თავისი წვლილი ვისაც რამდენი შეუძლიან.

ქართველები ორ მილიონზე მეტნი ვართ ვიანგარიშოთ ნახევარზე მეტი შეუსმენელნი, გადაგვა-რებულინი და არა თანამგრძნობნი! ერთი მილიონი ხომ დავრჩებით და თვითეულმა ჩვენგანმა ორთა შუარიცხვით, რომ ოროლი მანეთი გამოვიდოთ ორი მილიონი მანეთი შეგროვდება, ამას უნდა მი-

უმატოდ ჩვენი შეძლებული გველმომქმედნი, სხვა და სხვა დაწესებულებანი, რომელიც ბევრიად მეტს გამოიღებენ. და ოუ ჩვენებურად ქართველურად არ ავიკრუეთ გული და არ მივანებეთ თავი, შესდგება იმდენი ფული, რომელითაც მაღვე ისევ ვიამა-ჟებთ უფრო გაფართოებულ-გამშვენიერებულის თეატრით. მე როგორც უუდარიბესი ავადმყოფი ადამიანი ჩემის მეუღლით ემმათი გაახლებთ დიდის ბო-დიშით და მოწიწებით თითო მანეთს ამ უამად და ვეცდებით კვლივაც მოუწოდოთ შეძლების და გვა-რად ჩემი წვლილი. ამასთანავე ამ ახლო ხანში გა-ახლებთ ქართული თეატრის ბიბლიოთეკისათვის შემდეგს წიგნებს: „ჰამლეტი და ოტელი“ — შექსპი-რისა. „ჩანგი“ — გასოცემა სორიპინისა. „ქართული თეატრი“ — გუნრასი. „ქოხში“ — ი. გომართელისა. „კენჭის ყრა“ — გურულისა. „ფილქრები“ — ჰაუპტმა-ნისა. „მორიელის დრამატიული თხზულებანი“. „ყაჩალები“ — შილლერისა. „ორი ჯიბგირი“ — დე-კურსელისა. „ანტიგონე“ — სოფოკლისა. და „დალა-ტი“ — სუმბათაშვილისა.

6. ფავლენიშვილი.

P. S. რედაქციაშ ამასთანავე მიიღო ორი გა-ნეთი თეატრის სააშენებლო კომიტეტისათვის გა-დასაცამიდ.

ქ. ქ. წ.-ქ. გ. ს.

დღეს, კვირას, უნდა მოხდეს წევრთა საზოგა-დო კრება ქ. შ. წ.-ქ. გ. ს — სა. ქართველი ერი-სათვის აღნიშნულ საზოგადოებას მით უფრო დიდი შეიმუშავებოდა აქვს, რომ საქართველოში არ არის არც ერობა, არც სხვა რამ სახელმწიფო დაწესებუ-ლება, რომელიც ზრუნავდეს სამშობლო ენის და წერა-კითხვის შესწავლას და გავრცელებაზედ. ერ-თად-ერთი საზოგადოებრივი ორგანო, რომელიც მოწოდებულია ხალხს ჩაუნერგოს სიყვარული და ბუნებრივი მოთხოვნილება სამშობლო წერა-კით-ხვისა დაუკმაყოფილოს, არის — ჩვენ წარჩინებულ მოღვაწეთა მიერ დაირსებული წერა-კითხვის გამავ-რცელებული საზოგადოება. მისი მაღალი მიზანი და დარიშნულება იმდენად თვალსაჩინო და შეგნებუ-ლია ქართველი საზოგადოებისაგან, რომ არც ერ-თი ჩვენი სხვა საზოგადოება ან დაწესებულება არ

იზიდავს ისეთ საერთო სიმპატიებს და თანაგრძნო-ბას; როგორც იგი. მაშასადამე შეიძლება მოწოდება საზოგადოებათა და დაწესებულებებთან შედაორებით უფრო ნაყოფიერი და ფართე უნდა იყოს. გარეგნულია ეს თითქმ ასეც არის, რადგან შერველება ფილია-ლური განყოფილება, სკოლა და ბიბლიოთეკა ყო-ველ წლიურ ანგარიშებში იზრდება და იზრდება; წრეულს მაგ. უკვე 25 განუოფ. (ამათვან 7 ახალი) 16 სკოლა და 66 ბიბლიოთეკა (ახალი 11), მაგ-რამ ახლო თუ დააკვირდით, აღმოჩნდება, რომ ჟველა ეს კეთილი არსებანი იზრდებიან მხოლოდ რიცხვით და არა შინაგანი სიძლიერით. ან კი რი-თი უნდა გაძლიერდნენ, როდესაც მთავარ-გამგენი სულ მუდამ უფულობას ჩივიან. უფულობა მომა-კვდინებელი საბუთია ყოველ სიქმისათვის, ეს უკე-ლიმ იცის და ამ ცროს ახალ ბიბლიოთეკათა გახ-სნა უბრალო თვალთმაქცობიდ უნდა ჩაითვალოს. ასეც არის. ვინ არ იცის როგორ იხსნება ჩვენში ბიბლიოთეკა: ვინმე უსაჭმურ კნეინას, ან საქმიან მემამულეს მოეფიქრება რომ სოფლისათვის სასარ-გებლოა ბიბლიოთეკა, ან გაზეთში ამოკითხავს, ან გაიგონებს საღმე და ასე მაშინვე გამართავს „თე-ატრს“, შეაგროვებს ორიოდე გროშსა, ნაცნობებს გამოართმევს ძველ წიგნებსა (უმეტეს ნაწილიად რუ-სულ უურნალებს), გაზეთის საშუალებით წინდაშინ-ვე მადლობას გამოუცხადებს საზოგადოებას დახმა-რებისათვის, რედაქციებს სთხოვს ფას-დაკლებით ან უფ-სოთ გაზეთებს და — გაიხსნა ბიბლიოთეკა. არა-ვინ დაგიდევს იმას, რომ ამ ბიბლიოთეკაში არამა-თუ ხალხი, სოფლის ინტელეგენციაც თავს არ შექ-უმფს ხოლმე და ბევრგან გვინახავს ამ ბიბლიოთე-კათა მტვერი, ობი და ხავი. ან რა გასახსნელია ბიბლიოთეკა იქ, საკა წერა-კითხვის ცულნე ხალხი არ არის. ახლა ავიღოთ სკოლები, რომელთაც უნ-და მოამზადონ მკითხველები ბიბლიოთეკებისათვის. უმეტესად ბიბლიოთეკა იხსნება იქ, საკა სკოლა არ არის არც წ.-ქ. საზოგადოებისა, არც სამინის-ტრი და არც სამრეველო. წ.-ქ. ს. სკოლები ბევრ-გან უმწეო მდგომარეობაში არიან... უსახსრობისა გამო. ამისდამიუხედავად მათი რიცხვი არა კლებუ-ლობს და მაინც მიაჩინალებენ... რიცხვის გადიდე-ბისათვის. აი, შეგ. საგურამოს სკოლა. სკოლა ისეა დაშორებული სოფელს, რომ შეგირდები არ დადი-ან და შშობლები ჩივიან. ან რა სკოლაა ის სკო-ლა, საკა სულ 17 ბავშვი სწავლობს (ამათვან კლასში ნახევრის მეტი არის ხოლმე უთუოდ)

და მაინც ზედამხედველი იწუნებს სწავლა-აღზრდის საქმეს. აიღეთ კავკავის სკოლა, რომელმაც 25 წლის იუბილეი გადაიხადა შარშან და ერთ დროს სამაგალითო სკოლად ითვლებოდა თურმე. წლიდან დაარსებისა, მოწაფეთა რიცხვი იზრდებოდა. 1908 წლამდის 32-244 და ამ წლიდან ხულ მცირდება და უკვე 1912—13 წელს ჩამოვიდა 190-მდე. მნელი წარმოსადგენია სამაგალითო სკოლის ხალხი აკლდებოდეს და არ კი აწყდებოდეს. სენაკის სკოლა უფრო უპნაურ მდგომარეობაშია თურმე: „მასწავლებლები ჯერჯერობით ჯამაგირს დროზედ ვერ იღებენ“. არც ქუთაისის სკოლაა უკეთესად, რომლის „ნივთიერი მდგომარეობა უნუგეშოა“, როგორც სწერენ ანგარიშში, ან რატომ პეტერი ამ სკოლას წ.-კ. საზოგადოების სახელი, არ ვიცით. ამ გვარად უკელა სკოლას შეიძლება ჩვენი სახელი დავარქვათ, მაგრამ ჩვენი კი არ იქნება. ან მკითხველს შეუძლიან წარმოიდგინოს, რომ წ.-კ. სკოლის შეგირდმა იხადოს წელიწადში ეჭვი თუმანი, როგორც ეს არის ქუთაისში?

მაგრამ უკელაზედ საგულისხმიერო ის არის, რომ სკოლების და ბიბლიოთეკების დასათვალიერებლად იყო დანიშნული საგანგებო ინსპექტორი, რომელსაც 18 სკოლიდან მარტო 4 დაუთვალიერებია, რომელთაგან თრი — თბილისშია. გამგეობის ერთ წევრს უნახეს კიდევ თრი სკოლა და დანარჩენი სკოლები. „დაუთვალიერებელი დარჩა, ვინაიდან გამგეობის წევრებმა ვერ იშოვნეს ამისათვის თავისუფალი დრო“. სამეცნიეროდ 1911—13 წლამდის გამგეობას პეტერი 140 სხდომა, გაარჩია 1032 საქმე. გამგეობამ უმთავრესი უურადღება მიაქცია საზოგადოების სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესებას (როგორც ზემოდ ავწერეთ), ვაჭრობის (?) მოწესრიგებას, ძველი ვალების გინაღლებას, წიგნთ-საცავისა და მუხეუმის დაღაგებას“. გავსინჯოთ ეს სია საქმეთა. რაში გამოიხატება მაგ. ვაჭრობის გაუმჯობესება? იმაში, რომ გოგებაშვილისაგან დატოვებულ წიგნების შემოსავალს არაფერი მოპერებია და გაუმჯობესება იმაში გამოიხატება უთუოდ, რომ ბ-ნ გოგიჩიშვილისაგან გამგეობამ განსაკუთრებულ კომისიასთან შეუთანხმებლად შეიძინა ნახმარი ნივთები, რომელნიც... ცეცხლში დაიწვნენ. ეს უკანასკნელი გარემოება დიდი ყურადღების ღირსია საზოგადოებისაგან. რამდენადაც ჩვენ ვიცით, გოგიჩიშვილისაგან შეძენილი ნივთები არ შეეფერებოდნენ იმ მიზანს, რომელიც დაუსახა გამგეობას მაღაზის გასატაროვებლად შარშანდელშა საზოგადო

კრებამ. ამის გარდა ნივთები იყო ნახმარი, მიღებული იყო სიით და არავის კი ჩაუდიდებით იგინი ფაქტოური უათვალიერებით, ისე რომ მნელი გამოსარკვევი ბდება დამწვარ ყუთებში, მარტივოფც საკანულიარო ნივთები ელიგა, თუ სხეულის აუქციონი; ამას ზედმეტად ისიც უნდა დაერთოს, რომ ამ უნახევ ნივთებისათვის დაქირავებული იყო საგანგებო საწყობი (უკვე დამწვარი რასაკვირველია) და მაღაზია კი, რომლის გადატანაზედ იყო მიქცეული მთავარი ყურადღება, დარჩა ისევ იმ დამალულ ადგილას, საცა წინად იყო. აქიდან მკითხველი თვითონ დასაკვნის იმ „ვაჭრობის მოწესრიგებას“, რომელზედაც სწერია ანგარიშში. ჩვენ აღარას ვიტუკით იმ „უბედურ შემთხვევაზედ“, რომელმაც 25 ენკვენისთვეუ იმსხვერპლა წ.-კ. საზოგადოების დიდიძილი ქონება, რომელიც... დაუზღვეველი აღმოჩნდა, მაგრამ მეორე „უბედურ შემთხვევაზედ“ კი არ შეგვიძლიან არ მიუთითოთ საზოგადოებას: როდესაც ცეცხლში იწვოდა წ.-კ. ს. წიგნები და გოგიჩიშვილის ნივთები, ჩვენ შევეკითხეთ ერთ-ერთ უახლოეს მოღვაწეს საზოგადოებისას: დაზღვეული გაქვთ თუ არა, საწყობები და მან გვიპასუხა: არ ვიციო. აი სწორედ ეს „არ ვიცია“ დამახასიათებელი საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა.

ჩვენ არ შეგვიძლიან არაფრის თქმა „ვალების ვანალდებაზედ“, რადგან ვალები საზოგადოთ ისეთი საქმეა, რომ თითონ გამნაღლებელსაც უძნელდება ხოლმე ნამდვილ ვითარების გამორკვევა, მაგრამ მით უშეტეს უნდა შევჩერდეთ „წიგნთ-საცავის და მუზეუმის დალაგებაზედ“.

ამ რამდენიმე წლის წინად ჩვენ უკვე გამოკვეით პრინციპიალური მოსახრება, რომ წიგნთ-საცავის და მუხეუმის შენახვა არ შეაღებს წ.-კ. გ. ს. ის პირდაპირ დანიშნულებას, ტყუილი უბრალოდად პეტერის მის ისედაც ღარიბ ხალხს და ენერგიას იღება და მაშინ, როდესაც ებრა უკვე არსებობს სპეციალურად ამისათვის შექმნილი საზოგადოება და მუზეუმი — პირდაპირ პორტებად მიგვაჩნია ცალკე მუზეუმის შენახვა. შემდეგმა კრებებმაც მიაქციეს ყურადღება ამ არა ნორმალურ მდგომარეობას, პრესამაც არა ერთხელ იმაღლლა ხმა ამაზედ, მაგრამ წიგნთ-საცავი და მუხეუმი სრულიად გამოურკვეველ მიზეზების გამო დარჩა თავში საცემად იმავე ქ.-შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობას, რომელიც მუდამ ჩივის ბევრი საქმე მაქვს, ცოტა საღსატი და... სკოლებიც უნუგეშო მდგომარეობაში. ამას უნდა ნახოთ თვით მუხეუმში, რომ დარ-

წმუნდეთ შის უნიათობაში. მის გვერდით არსებობს ქ. საისტორიო და სიეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი, რომელის დამაარსებელთ სამიოდე წელიწადში შეკვენეს მართლიც საუცხოვო, მეცნიერული მოწყობილი და ეპროპიულ კულტურული გამომეტყველების ტაძარი, საცა სული არამცოც ისვენებს, არამედ იშლება და სიამაყით ივსება, რომ ქართველობისაც თურმე შესძლებია კულტურული სალაროს შექმნა; და იქვე ვა წლის ნაკოდებილარი საწყალობელი მუზეუმი ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისა, საცა კანტი-კუნტიც, უაზროდ გაბნეულია რამდენიმე ძვრთასი ნივთი, ხელონაწერი და წიგნი. შერე რისთვისაა ყველა ეს განცალკევებული და არა შეერთებული, რომ უფრო დიური და სასარგებლო ყურადღება მიიქციოს ყოველი მნახველისა? არ ვიცით, და არც არავინ იცის. იხარჯება ზედმეტი ფული, დრო, ენერგია და მიზანი არავინ უწყის. ჩვენ ეხლაც, როგორც კვლავ განვიმეორებთ, რომ აუკილებლი და საჭიროა ეს მუზეუმი გადაეცეს ქ. საისტორიო საზოგადოებას, რითაც წ.-კ. საზოგადოება შეამცირებს ხარჯსაც და იძულებულიც აღარ იქნება მუზეუმის გამოისობით ნაკლები ყურადღება მიიქციოს სკოლებს.

მაგრამ ამ კერძო საკითხების შემდეგ, საჭირო აღნუსხვა იმ მიზეზთა, რომელნიც საზოგადოთ უშლიან ხელს წ.-კ. საზოგადოებას მკვიდრ და საღნიადაგზედ დასაღვრომად.

ჯერ ერთი საზოგადოების საქმე იშვენდა გართულდა, რომ ყოვლად შეუძლებელი ხდება მისი დატოვება წინანდებურ საჭველმოქმედო და საპარიო ადგილზედ—იგი მთელი დაწესებულებაა უკვე და მოითხოვს ყოველდღიურს, სისტემატიურს მუშაობას, ბევრჯერ დაწვრილმანებულსაც და ყოველს შემთხვევაში აუკილებელს, მაშინ როდესაც საჭელმოქმედო და საპატიო საქმე—ნებაყოფლობითია და არავის შეუძლიან დააძლოს, ან უსაყვედუროს. საპატიოდ ამორჩეულ პირს—სისტემატიურად იშრომეო, და რაც უარესია, არავის შეუძლიან პასუხი მოსთხოვოს უსაჭრობისათვის. მეორე მხრით, ჩვენ კარგად ვიცით, რომ არა მარტო წ.-კ. გ. ს., არამედ მთელი ქართველი საზოგადოებაც იმდენად დარიბია, რომ ყოველ წევრს უხდება შრომი ლუკა პურის საშოვნელიად, რაზედაც ეხარჯება ენერგიაც და უმთავრესად დროც. ჩვენ კარგად ვიცით, თუნდ აწინდელ გამგეობის წევრთა დატვირთულობა წ.-კ. სა—ბის გარეშე საქმეებით, და ირა ეთო კური მიგვაჩნია მათი მოწყვეტა სწორედ ამ გარე კური მიგვაჩნია მათი მოწყვეტა სწორედ ამ გარე.

შე საქმეებისაგან, რომელითაც სუბოვრობენ, საქველ-მოქმედო და საპატიო საქმისათვის. ამიტომ ჩვენი პირველი დასკვნა ის არის, რომ საჭიროა გამგეობაში იყვნენ ისეთი პირები, რომელნიც დაჯილდოებული იქნებიან, რომ საჭიროა შეეძლოთ განთავისუფლება; მაშინ ისინი შეტი პასუხის მგებელნიც იქნებიან და მეტი დროს შეწირვასაც შეძლებენ თვით საზოგადოებისათვის. რასაკვირველია, მაშინვე გვერცყიან: საღსარი გვიჩვენეთო, მაგრამ ამაზედ პასუხი ერთია: სიღსარი უნარს და საქმიანობას მოაქვს და არა ქველმოქმედურ უსაქმობას.

მეორე მიზეზი საქმის უხეირობისა ის არის, რომ საზოგადოება კისრულობს შეტაც ბევრს სკოლებს, ბიბლიოთეკებს და უცხო საქმეებსაც, როგორც ზემოხსენებული მუზეუმი, საგურამოს მამული და სხ. მაშინ როდესაც საქმის კარგად წასაყვანად საჭიროა თავიდან მოშორება ყველაფერი მეტისა, რომ შეძლება დარჩეს თუნდ ცოტასი, მაგრამ კარგად გაკეთებისათვის.

მესამე და უდიდესი მიზეზი კი საქმის უსაჭმურობისა ის ჯგუფობრივი ხასიათია, რომელსაც იძლევს მის ქართველი ინტელიგენცია. ქ. შ. წ.-კ გვრცელება მონოპოლია არ უნდა იყოს ისეთი ხალხისა, რომელსაც შეუძლიან სამი მანეთი კი ირ არის საქმიანობის დამახასიათებელი, არამედ დემოკრატიზაცია საზოგადოებისა. რამდენადაც ფართო იქნება წრე წევრებისა, იმდენად საზოგადოება უფრო უახლოვდება იმ ხალხს, რომლისთვისაც არის დაარსებული და რომლის გულშიაც უნდა იტრიალოს და გაავრცელოს წერა-კითხვა. ამ წრის გაფართოვება კი მხოლოდ საწევრო გადასახადის დაკლებით შეიძლება.

სახალხო განათლების მსურველთა ცენტი არ უნდა იყოს თვით ხალხის შეძლებაზედ დიდი, რომ მანაც მიიღოს მონაწილეობა თავის საკუთარ საქმის მოწესრიგებაში.

განა გიმგეობაში რომ რომოდე მართლაც ხალხის შეგნებული წარმომადგენელი იყოს, შესაძლებელი იქნებოდა ისეთი ბიბლიოთეკის დარჩენილი და შენახვა საცა ხალხი არ დაიარება, ან ისეთი მუზეუმისა, რომელსაც წერა-კითხვასთან იმდენივე იქვს საერთო, რამდენიც ქართულს ჩინურთან. მუშაობის ინტელიგენტური საობამოა წ.-კ. საზოგადოებაში და სხვა არაფერი და ძვირადაც ღირებული რომელსებული უნდა აიგოს მოშავალი. საქმიანი მო-

აი, ჩვენის აზრით, უმთავრესი პრინციპები, რომელსებული უნდა აიგოს მოშავალი. საქმიანი მო-

ქმედება:

- ა) ჯილდო ყოველს მომუშავეს.
- ბ) საქმის გამარტივება მიზანთან შეთანხმებით.
- გ) საზოგადოების დემოკრატიზაცია სიწევრო გადასახადის დაკლებით.

რ. გ.

კალერიან ბრიუსოვის აზრი გერმანელებზე

"P. B." იურიციებზე ამჟამად ფრიად საინტერესო წერაღები იძებელება რეს პოეტ ჭალ. ბრიუსოვისა. ერთი წერილი კეთი დოქტორ გერმანელების მოქმედების. ვიზღვით შემოვლებით გავაცნოთ მკითხველებს.

დოქტორთა უმთავრესად ებრაელებითა და იმ ელემენტებით არის დახახლებული, რომელიც * ფულის მოგების იქით ადამის ხედავის. „ფული, ა ჭეშმარიტი სული დოქტორ მცხოვრებლების“ დ. ამიტომ ადვილად წარმოსადგენია, თუ რა ზარი იქმნებოდა დოქტორებისთვის ამი და განსაკუთრებით ის მოქმენტი, როდესაც მთავრობაში ქადაქი და დამატებით ჭარი გაიყვანა, და დაწესებულებებისაც ტაქტი. ქადაქიდან გავიდა სახელმწიფო ბანკი, სასამართლოები, პალიცია, ბირჟა, ერთი სიტყვით, დოქტორთა ჩვეულებრივი ცხოვრების ფორმები თითქოს უმცრივ გადნა და სკუთარ ძალაზე დაემჭირა.

მედამ სხვის ძალის მაურებული მცხოვრების ეხლა შემრიც უძღვო ბავშვებს და მას გაესხვის, უზომთ შიშმა მოიცეა; უფლება, განსაკუთრებით სახელმწიფო ბანკის გადატანის შედეგი, ერველგვარი წესრიგი შეწევა, ხურდი ფული არსად იყო, ქადაღის ფულს, კი არავინ ასერდავებდა. რესტორანები ვიღრე ფულს არ ასევებდით, სადაც არ გაჭმეულები, განდ ქადაღის ფული არ ამოიღოს დასახურდავებლადათ. უბრალო ნივთებია, რომელია ფასი ხშირად 2—3—10 კაპ. არ ადემატუბოდა, ქადაქებულებ უნდა ას მანეირებით შეეძინათ, მაგრამ ისე კი რომ არავითარ ხურდას არ მაიღებდები.

საზოგადოების დაშნერებლად ისევ დიდი კომიტეტი დაწესებულებისა გამოვიდსენ, მათ გამოუშევს თავისთან საკუთარი ფული მნიშვნელი, 50 კაპ. და თუ ბი, რასაც „ბოხები“ უწოდებენ. ამგრ ბოხების მაღავე შეეწია ხალხი და რაოდენადმე მაინც აღდგენილ იქმნა ფულის ტრიალი.

მცხოვრებთა შიშმა მაზეზად, რაგორც ითქვა,

შოღიცის დათხოვნა იყო. მექანიკების და საზოგადოდ მდიდრების ეპონათ, ეს ეს არის უწესობის იქმნა თავის და უახალთა ძარცვა-გდებას საზღვრაო არ ექნებათ. შემოწევებული სახით დღე-დღეზე კოქლების თავისთან ქონების განადგურებას. ამ მხრივ მცხოვრების ისხს „ადგილობრივმა დამცველმა კომიტეტმა“, ანუ „სახალხო მილიციამ“. რომელთა მაღიცა ამხანად გარდაიქმნა და ქადაქის ტხოვების მთელი ფუნქციები ხელში ჩაიგდო. უსახიდლო თითქმის ათათასი კაცი გამოვიდა. მსენი იურთებოდნენ სხვა და სხვა დათგებად. მთელი ქადაქი გამოვიდა 9 უბნად, თვითუელ უბანს იხსხავდა თავისი საჭურაო მიღიცა, რომელსაც განსაკუთრებული ფურის ნაშები ჰქონდა.

ამნაირივე სახით შედგენად იქმნა სასანიტარო კომიტეტი, საფინანსო და ერთიც საციხეობის. ამ უკანასკნების ეგელაზე შეტი მოვალეობა შექმნდა და კასტებული. როდესაც აღმინისტრაციაში თავი გაახება ქადაქს, მიღიცას გადასცა რამდენიმე ასი ტესტიდი. რაკი-და იმდენი სურვიათა არ იყო, რომ მათვების ეჭმიათ, საწილი გაანთვისებდეს. აკივე მიღიცა ჭარილობიდა და აწესრაგებდა სამოქალაქო მეურნეობას და განვითარას, რომ თავი გახელ გატრენებს არ კარგებლებათ და ძვირად არ გაეუძინათ სახოვაგე, ანუ ნახშირი.

ა მ ეთებაში უკ დოძი გერმანელთა შემთხვევის დროს. მემოსევლისთანავე მათ დაკანონების ასეთი ცხოვრების წეს-რიგი. გერმანელების დანიშნების თავიანთი „გუბერნატორი“, რამდენიმე „გამენდატი“ და სხვა. ყოველი უკითხევაში სწრაფად ჰიზაგიდნენ თავიანთ ჭარისკაცების, რომ დაჭიმარებულების მაღიცას წეს-რიგის აღმდეგად, მაგრამ შინაურ ცხოვრებაში არ ერებდნენ. სხვა და სხვა მიღიცა კომიტეტების უფლება ჭრიდათ სრულიად დამოუკიდებლად ემაქმედნათ.

რ თქმა უნდა ეპლა და და დაწესებულების დაიხურა უმთავრესად იძირომ, რომ ქადაქი მოსწედა სხვა ქადაქების, მათ ძორის აფარავითარი გაფშრი აღარ იყო, მამთხველა მესწედა, — მაგრამ შინაურ ცხოვრებაში დარჩენა შეავალი ისეთი მხარე, რომელიც ადგილობრივ საჭიროების შეერთებოდა: რესტორანები, მაღაზიები, ფერები, კაზინოები თათქმის განუწვევეტლავ მუშაობდნენ გერმანელთა შემთხველამდინარე და შემდეგაც. პირ-აქით, გერმანელთა შემთხველის თანავე თვით ისეთი მაღაზიებიც კი გაიხსნა, რომელიც მაღალ საზოგადოების ესაკითხება ფულების ხელის შესაწყობად. მოვაჭრებად თვითონ გერმანელებიც გამოდიოდნენ, უადგულობრივ საცვალს, ხილს, ღვინოს. პირველად გერმანელ ფულის

იძლეოდნენ და შეიდებ კი ბარათების. გერმანელთა შეკ დანიშნულმა გუბერნატორმა რესული მ ხეთიანი შეაფასა ურთ მარკად და 40 ფეხიგად. ამის შემდეგი ის იურ, რომ უაჭრობა შეავ მარკებით შემთხვიდა. გენერალმა დაბურტმა კურსა ასწა და მანქო 2 მარკად გამოაცხადა, ხდეთ გუდდენი 80 კაპ.

ასევე გაჭრობდნენ რესტორანები და უაგანანები. კონკრეტობრავის გუდმოდგინე სტუმრები თვითონ გერმანელებიც იუგნენ. მათთავე შოთხოვნილებით გაისნა აუატრი. წარმოდგენები იმართებოდა სადამოს 5—8 საათამდე. აფიშები იძეტდებოდა რესულად და გერმანებად.

გამოდიოდა უურნალებიც. რესულად „ლომას ფურცელი“ პლატნერ ქაზე „Rozwos“ და თრიტ უმრავლესოდ...

თუ რომ უველავები ერთად თავს მოგუყრით, მასის ცხადი შეკმნება ჩვენთვის, თუ რატომ შესის ზარი დასცა ღრმელებს გერმანელების შემთხვევაში: შეჩებზე შედამ ჩექების დატენებდნენ გერმანელი აფიშები. მათ ნახვადით უაგანანების, რესტორანებში უაველ გეთხეს შეიძლენენ გერმანელ გაზეთების, სადაც პერ მანელთა გამარჯვების გარდა გერმან აშრიკითხავდით. ქუჩებში გერმანელი განცხადებანი გვლაგ გერმანელთა პატრიოტის ჭილა უადებდა. აშასობაში კი ქალაქში უშესეულობა იზრდებოდა და იზრდებოდა, სიძვარე ჩამოვარდა, ფრიად საგრძნობი გახდა მრავალ უსაშიროეს მოთხოვნილებათა დამაკაუთვილებელი საგრძნოს ჩაკლულოვანება. საშიობდო ქალაქის მრიას ჩელში უოვნა გვედას ადელ-ვებდა. ქუჩაში გერმანელთა შენდირის დანახვა სულ ამძიმებდა, კაუშანს ფრთხის აშლევინებდა და მოუთმენლად აჭალისებდა სანატორელ დროს, რადესაც ცხვევება აღზედებოდა და მტრის ფაქტი განიდევნებოდა შათ ბულიდის კი სანატორელ დროც. რა თქმა უნდა, თავის-თავად ახლოვდებოდა.

ებრიზეს მდგომარეობა

ოსმილეთიც ჩაერია ომის კონკურტში და იმ გარემოებამ დააფიქრა არა მარტო რუსეთი, რომლის უურადღება აქეთაც ძალაუნებურიდ უნდა მო-

ჰუულ იქმნას, არამედ ინგლისიც. ინგლისს უფრო, ვიდრე რუსეთს, პმართებს სერიოზული ფიქრი, რადგან თუ სამალეთს ასე ადვილიდ იმ შეუძლიან ინდოეთში ამბოხების ცეცხლი დაათოს და თანამეორება მილიონი მაკმაღიანი მცხოვრები თავის მხარეზე გადაიყვანოს, სამაგიეროდ მას სულ თაშამად შეუძლიან მუქარის მუშტი მოუდეტოს ინგლისს, ეგვიპტეში, რომელსაც ინგლისისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც აღმოსავლეთთან გადებულ სავაჭრო ხიდს; ვამბობ, სავაჭრო ხიდს, ვინაიდან ეგვიპტე და აქედან სუეცის არხი ის ჯადოსნური გასაღებია ინგლისისათვის, რომლითაც მოხერხებულად სარგებლობს იგი ინდოეთსა და ავსტრიალიაში საზღვაო ვაჭრობის მოსაწესრიგებლად, ამის გარდა ეგვიპტე მით უფრო არის საყურადღებო, რომ ინგლისს ბევრი აფრიკის ახალშენების კარად ააქვს გადებული. მართლაც, ეგვიპტე და ნილოსის მდინარე ბუნებრივ გზას წარმოადგენენ, რომლითაც ინგლისი შედის ინგლის-ეგვიპტის სურანში, შემდეგ უგანდაში, აღმოსავლეთ აფრიკაში, სომილილენდში და სხვა. ეგვიპტის დიდი მნიშვნელობა თუნდ იმაში გამოიხატება, რომ სწორედ ეს ფარაონთა საგვარეულოს სამღვთო ქვეყანა აუარებელ ბამბით დატვირთულ გემებს უგზავნის დიდი ბრიტანიას.

ინგლისი დიდი ხნიდანვე ყურადღებას იქცივ და ეგვიპტის ნაპირების გამაგრებას. ჯერ კიდევ ამ სამი წლის წინადან ინგლისმა ეგვიპტის უაკტიურ მმართველიდ დანიშნა ლორდი კიტჩენერი, რომელიც დღეს სამხედრო მინისტრად იქმნა გამოცხადებული. ლორდმა მრავალი რეფორმები შეიტანა ეგვიპტეს პოლიტიკურსა და ეკონომიკურს ცნოვრებაში. მაგრამ მისი ყურადღება სამხედრო ძალის გაძლიერებაზე იყო მიქუეული. მან ააგებინა შესანიშნავი სიმაგრენი ხმელთა შეა ზღვის შერით, განსაკუთრებით ალექსანდრიი მთელ ციხედ გარდა კემინიდან მშვენიერი ბაზა მოუმზადა ინგლისის ნაღმონებს, უფრო დღევანდელ სამ მოკიცირეთა მოსალოდნელ წინააღმდეგ საბრძოლვებლად, ვიდრე სამალეთთან საომრად, რომლის საზღვაო უძლურებაში მას ეჭვი არასოდეს შეუტანია.

ომის დაწყებამდე, როდესაც სამალეთმა ორწოფი პოზიცია დიიკივა, ინგლისმა ეგვიპტეში სანხედრო წესები შემოილო, გერმანიისა და ავსტრიის ელჩები დაითხოვა და გარნიტონის გაძლიერების შეუდგა. მასთან ენერგიული ზომებიც მიიღო სუეცის არხის გასამაგრებლად რადგანაც ეს ერთად ერთი უსასტიკესი დამაბრკოლებელი წერტილია,

რომელიც ოსმალეთს ხელს შეუშლის ეგვიპტეში
შესასევად. მართალია, ეს ორხი ქალაქ აღმართებული-
დან თითქმის 200 კილომეტრზე მდებარეობს, მაგ-
რამ ოსმალეთის მარტო ერთი პირველი შეტევაც
საგრძნობელი მარტი იქნებოდა ინგლისისათვის,
რიცგან მაჰმადიან ეგვიპტეს აღვილად შეუძლიან
თავისი ძალით გაუმკლავდეს იმ მცირე ჯარს, რო-
მელიც ინგლისსა ჰყავს აღგილობრივ.

გაიღვიძა მაშმადიანთა ტრიბუნ მუსტაფა-კამელ-
ფაშას სულმა, რომელმაც არა ერთხელ და ორჯელ
ააფრიალა ნახევარ მთეარის დროშა ევვიპტის და-
მოუკიდებლობისათვის. ეს დიადი იდეა, რომელმაც
თავის დროზე მთელი ევროპა აალაპირაკა, საბო-
ლოოდ დახშული იქმნა მუსტაფას სიკვდილის შემ-
დგომ, და განსაკუთრებით ლორდ კიტჩინერის დანიშ-
ვნის შემდეგ, რომელმაც საზღაპრო საშინელება
შეჰქმნა მცხოვრებთა შორის: დღესაც მდაბით
ხალხს იგი ზექვეყნიურ ქმნილებად ააქვს წარმოდ-
გენილი, რომელსაც ვითომც ურმის თვლების ოდე-
რა მდლერიალა თვალები აქვსო. ებლა თუ დაუმი-
ტებთ ეკონომიურს კრიზის, რომელიც დლევანდელ
ომიანობის გამოისად ჩამოვარდა, ცხოვრების სიძი-
რეს, რაც ტრიბუნ მუსტაფა-კამელ-ფაშაზე არა ნა-
კლებ ავიტაციას ეწევა ხალხის ასაჯანყებლად, მა-
შინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეო-
ბაში იქნება დღეს ეგვიპტე, ან რატომ დაუდგა-
ინგლისს მეტად სერიუსული საკითხი, რომ ხალხის
ფანატიზმის ცეცხლი ჩააქროს და მანთან იიცილოს
ზედმეტი შინაური ომი, რომელიც სახოგადოთ გა-
რეშე ამზე უარესია.

ეს საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია ინგლის-
სათვის და ღირსეულ საშუალებასაც იპოვის. მის
გარდასაწყვეტად... ოელეგრაფმა უკვე მოგვიტანა
ცნობა, რომ ჯერ კიდევ არაბერმივე დახვდა სუე-
ცისაკენ მოშავალ თსმალეთის ჯარს — ინგლისელი
ძლიერი რაზმი და სასტიკი წინააღმდევობა გაუწია.
გველა იმ ცნობებიდანა სჩინს, რომ ახლო შოვალ-
ში უნდა ველოდეთ მნიშვნელოვან ამბებს უკვე
აფრიკიდანაც.

წიგნების ხის

ରୁଦ୍ରାକ୍ଷପୂରୀ ମିଳିଲା ଗ୍ରାନ୍‌ଫୁଲ୍‌ଟେଲ୍‌ମିଲିଶ୍‌ଟ୍ରେନ୍‌ଜ୍ରୋସ „ଗ୍ରା-
ମିଲସାଲ୍‌ଗ୍ରେସ କ୍ରିମିଯାର୍ଟା“ ଶ୍ରେଣୀରେ ଏହି ଚିତ୍ରଙ୍କି:

- 1) საფუძვლები ზნეობრივის აღზრდისა ჩვენს დროში, ფასი ორი შაური.
 - 2) როგორ არის მოწყობილი სწავლა-განათლების საქმე პულგარეთში, ფასი ორი შაური.
 - 3) როგორ უნდა ვასწავლიდეთ ქართულ წერა-კითხვებსა, ფასი ორი შაური.
 - 4) გონიერი და იაფი მიწათ-მოქმედება-მეურნეობა, ფასი ორი შაური.
 - 5) ლორის მოვლა და მოშენება, ფასი 20 კ.
 - 6) ფილოსოფოსი სოკრატი და მისი ფილოსოფია ადამიანთა ცხოვრებაზედ, ფასი ორი შაური.
 - 7) თავისთვის თუ სხვისთვის?! (აღმოსავლეთური გადმოცემა), ფასი ორი შაური.
 - 8) საბოსტნე მცენარეების თესვა მოყვანა და შენახვა-მოხმარება, ფასი 30 კაპ.
 - 9) შრომა და სიმდიდრე, ფასი 10 კაპ.
 - 10) როგორ უნდა ვასწავლიდეთ არითმეთიკას, ფასი 10 კაპ.

ვინც ათსავე წიგნს იყიდის, გაეგზავნება ერთ
ბანეთად. დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Въ Тифлисъ, Тумановскій пер. № 24, ივანე
როსტომაშვილს.

ରେଡାଫ୍ରିନ୍ଦାର୍ଗାମିପ୍ରେସ୍ରୋକ

ၬ. ဂာပာမြို့၏

დიოგენი

15. / 24. 6 3 16. 63

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

მოცელ კვირულ საზოგადო-ეკონომიკურ

၃၁ ပေါက်စီရင်အဖွဲ့၏ မြန်မာ

„ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ“ - պահանջման հայոց ազգային կուսակցություն

Հայութ Ալեքս Տաղամանիս տառեմյջի մայրէ

ଓଲ୍ଡି ନାମରେ ପ୍ରସରଣ 10 କାଳୀ

მოკითხეთ გვალა მეგაზეთებთან

თბილისში - გა ა ყავთი

„ՏԵՇԱՐՄԻ ՀԱՅՈՒՅԹԻ”

გამოდის ქ გორები, პირაში ორჯელ—ხუთშაბათობით და

კურაობით. ცალკე ნომერი ღირს ერთი შაური. დაკვეთით წლის დამლევამდე 80 კაპ.
ხელის მოწერა მიღება: ივ. აფალიშვილთან, წერა-კითხვის გამავრცელებელ სა-
ზოგადოების მაღანესი და განხეთის თბილის აგენტთან ვიქ. შექანარიშვილთან, დოჭეთის
კუთხი № 31.



ელექტრო-მგეცილავი სრუპლა ან. მ. კერძევლიძისა, გაპარვის შესახვევი № 1.